4
Გ-445

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ

ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ ᲚᲔᲚᲐ

ᲡᲔᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲑᲣᲜᲓᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ 10.02.04 - ᲠᲝᲛᲐᲜᲣᲚ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲡᲐ�პᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ
ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲤᲔᲠᲐᲢᲘ

�თᲑᲘᲚᲘᲡᲘ
2002

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მახვილაძე ლელა

სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში

სპეციალობა 10.02.04 - რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2002

ნაშრომი შესრულებულია ი.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამსონ კარბელაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ლებანიძე (10.02.04)

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. Ш. Амонашвили

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნატა ჯანელიძე (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის "27" მარტს 12 30 საათზე ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.01 №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (აუდ. 93).
მისამართი: 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ. №2).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის "20" თებერვალს

-1840-

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. წიბახაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე გერმანული ენის უაღრესად განვითარებულ სიტყვაწარმოებით სისტემაში განცალკევებული ადგილი უკავია მორფემული წარმოშობის ფორმობრივ ელემენტთა ერთ ჯგუფს, რომელიც ე.წ. სემანტიკურად გაუმჭვირვალე ერთეულებს (უნიკალურ მორფემებს, კვაზიმორფემებს, ფსევდომორფემებს და მისთ.) მოიცავს. მკვლევარები ჩვეულებრივ გვერდს ვერ უვლიან ამ აშკარად განსხვავებული სტრუქტურული სტატუსის მქონე ელემენტებს, თუმცა კი მათი უმრავლესობა ზოგადი ხასიათის შენიშვნებით შემოიფარგლება[1]. ამდენად, დღემდე ღიად რჩება ამ ერთეულთა ლინგვისტური კვალიფიკაციის, მათი ინვენტარის დადგენისა და კლასიფიკაციის, აგრეთვე მათი მეშვეობით წარმოქმნილი სიტყვების ტიპოლოგიზაციისა და მოდელირების არაერთი საკითხი. სწორედ ამ ხარვეზების შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი, რაც განაპირობებს მის *აქტუალობას*, როგორც თანამედროვე გერმანული ენის სიტყვაწარმოების, ისე ზოგადთეორიული პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ნაშრომის ძირითადი მიზანი განაპირობებს კვლევის *კერძო ამოცანებს*: 1. კვლევის ობიექტის – სემანტიკურად გაუმჭვირვალე / გაბუნდოვნებული ერთეულების რაობის ანუ მათი სპეციფიკური სიტყვაწარმოებითი სტატუსის განსაზღვრა სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების შეჯერებისა და ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე; 2. კვლევის ცნებითი აპარატის დახვეწა არსებული ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნების პირობებში; 3. გაბუნდოვნებულ ელემენტთა ერთობლიობის სტრუქტურულ-სემანტიკური კრიტერიუმების შემუშავება; 4. სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტების შეძლებისდაგვარად სრული ინვენტარის დადგენა; 5. გაუმჭვირვალე ელემენტების ძირითადი თავისებურებების გამოვლენა როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული (ეტიმოლოგიური) კვლევის საშუალებით და ამის შედეგად მათი ახლებული

---

[1] იხ. W.Fleischer/I. Barz,Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder, 2., durchges. und erg. Aufl., Tübingen, 1995, S.33-34 ff; H.Günther,"Unikales Morphem". In: Metzler Lexikon Sprache, Stuttgart, Weimar, 1993, S.664; B.Schaeder,"Quasimorphem", ebenda, S.494; G. Augst, Lexikon zur Wortbildung. Bd. 1, Tübingen, 1975, S. 26-27; M.D.Stepanova / I.I. Černyševa,Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. M., 1975, S. 100-102; Е.С.Кубрякова, О типах морфологической членимости слов, квазиморфах и маркерах – В: ВЯ, М., 1970, №2, с. 78-90; Э.П.Шубин/ Н.Б.Троицкая, Дефиниционно-ассоциативная теория внутренней структуры слова, Калинин, 1971, с. 9; ბ.ჯორბენაძე/მ.კობაიძე/მ.ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988; და სხვ.